

2014 წლიდან აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან არსებულ ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრში გაეროსა და ევროსაბჭოს შესაბამისი პროგრამების მხარდაჭერით ქ. ბათუმსა და აჭარის ყველა მუნიციპალიტეტის ფერმერების საკარმიდამო ნაკვეთებში ნიადაგის აგროქიმიური კონტროლის უზრუნველყოფის მიზნით შექმნილი იქნა ამერიკული წარმოების სპეციალური (მობილური) აგროქიმიური ლაბორატორიები.



აღნიშნული ლაბორატორიის გამოყენებით ნებისმიერ მიწათმისარგებლეს მომართვის საფუძველზე შეუძლია სიმბოლურ ფასად (ერთი საშუალო ნიმუში - 30 ლარი) მიიღოს თავისი ნიადაგის აგროქიმიური მაჩვენებლები შესაბამისი რეკომენდაციითა და მითითებებით თურა, როდის და რამდენი მინერალურ-ორგანული სასუქები შეიტანოს სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების გასაწარმოებლად.

## ა(ა)იპ აგროსერვისცენტრის კონსულტანტი

ოთარ შოალია -  
ქ. ბათუმი - 599 54 69 62



# ნიადაგის აგროქიმიური ანალიზი



მისამართი: სპატიშვილი, ბათუმი, 6010  
 ი. შარვაშიძის ქვეა №469  
 ტელ: +995 (422) 27 64 65  
[www.agrosc.ge](http://www.agrosc.ge)  
 მხელის ხაზი : +995 599 54 69 64





## დანიშნულება

- ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლება,
- სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობის ზრდა.

საქართველოში ძირითადი და მუდმივი წარმოების საშუალებისა და სიმდიდრის - ნიადაგის დაცვა, მისი ნაყოფიერების შენარჩუნება - ამაღლებაზე ზრუნვა, მიწის საკუთრების მიუხედავად დიდი მნიშვნელობის პრობლემაა. სასოფლო-სამეურნეო საეარგულეების 70 %-ზე მეტი ღარიბია საკვები ელემენტებით, რაც სასოფლო-სამეურნეო



პროდუქციის დაბალი და უზარისხო მოსავლის მიღების მიზეზია. ძალზე დაბალია ნიადაგის ჰუმუსის შემცველობის დონე, რაც იწვევს ნიადაგის სახნავ ფენაში მცენარისათვის ადვილად შესათვისებელი საკვები ელემენტების თანაფარდობის რღვევას. აქედან გამომდინარე ეს პროცესები, რომ ემართოთ საჭიროა კვლევის ჩატარება და ანალიზის საფუძველზე ნიადაგში შესატანი მინერალურ-ორგანული სასუქებისა და მელიორანტების (მოსაკვირიანებელი და მოსათბამირებელი) ოდენობის განსაზღვრა.



აგროქიმიური კვლევის მიზნით ნაკვეთზე, დიაგნოსტიკურად სხვადასხვა ადგილზე ხდება სინჯის აღება (5-10 ნიმუში) სახნავი ფენის სიღრმიდან. შემდეგ ეს სინჯები აირევა ერთმანეთში, მოხდება მათგან ერთი საერთო ნიმუშის აღება, რომელიც გადააქვთ ლაბორატორიაში საანალიზოდ.

**ლაბორატორიაში ხდება შემდეგი მარკინებაზის განსაზღვრა:** ჰუმუსის დონე, ნიადაგის არის რეაქცია ანუ pH, ნიადაგის სიმკვრივე ფენების მიხედვით, ნიადაგის ტენიანობა %-ში, აზოტის სამივე ფორმის (ნიტრატული, ნიტრიტული და ამიაკური), ფოსფორის, კალიუმის და სხვა ელემენტების, გარდა ამისა შეიძლება გა-



ნისაზღვროს 16 სახეობის მარცვლეულის სინესტე და შაქრიანიბა ნებისმიერი ხილის ნაყოფში.

ნიადაგის კვლევა, აგროქიმიური ანალიზის ჩატარება და ამ ანალიზის საფუძველზე გატარებული აგროტექნიკური ღონისძიებები საშუალებას გვაძლევს ემართოთ ნიადაგში მიმდინარე ქიმიური და ბიოლოგიური პროცესები. მეცნიერებითა და პრაქტიკით დადგენილია, რომ ნიადაგში არსებული უამრავი სასარგებლო მიკრო ორგანიზმებისა და ბაქტერიების არსებობა გარკვეულ პირობებს მოითხოვს. სწორედ, ამგვარი პირობების შექმნას ითვალისწინებს მინის აგროქიმიური ანალიზის ჩატარება, რომ მინათმოსარგებლემ სწორედ განსაზღვროს ამათუ იმ სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოთხოვნილება მინერალურ-ორგანულ სასუქებზე, მიკრო და მაკრო ელემენტებზე, რაც საბოლოოდ დადებითად აისახა ნიადაგის ნაყოფიერებაზე და მცენარეთა მოსავლიანობაზე, ასევე ნიადაგში მიმდინარე ბიოლოგიურ-ქიმიურ პროცესებზე.